სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080186720775121

№ 244 28 / იანვარი / 2021 წ.

შპს „რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრისთვის“ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2021 წლის 26 იანვარს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა შპს „რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრის“ SMP210000180 მომართვა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი და მისი ღირებულება

მომართვის მიხედვით, შესყიდვის ობიექტია სოფლის ექიმის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების (CPV- 85100000 - ჯანდაცვის სფეროს მომსახურებები) შესყიდვა, ღირებულებით 209880 ლარი.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, სოფლის ექიმის პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული მომსახურების (საქონლის) შესყიდვა წარმოებს საქართველოს მთავრობის მიერ კონკრეტული წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შემდგომ, კერძოდ, „2021 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის N828 დადგენილებით. იმავდროულად, ღონისძიების შეზღუდულ ვადაში ჩატარების აუცილებლობა გამოწვეულია საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის N 415 დადგენილებაში "სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ", მუხლი N1 მე-4 პუნქტში ცვლილების შეტანით 2019 წლის 6 ივნისის N268 დადგენილებით, რომლის თანახმადაც, "სოფლის ექიმის" სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სოფლის ექიმისა და ექთნის/ფერშლის მიერ გაწეულ საქმიანობაზე ვრცელდება საშემოსავლო გადასახადით სპეციალური დაბეგვრის რეჟიმი. (ამ შემთხვევაში სოფლის ექიმებისა და ექთნებისთვის განკუთვნილი ანაზღაურება, როგორც მომსახურების ღირებულება არ დაიბეგრება საშემოსავლო გადასახადით). ამდენად, აუცილებლობას წარმოადგენს ახალი ხელშეკრულებების გაფორმება (2021 წლის ასიგნებათა ფარგლებში) სოფლის ექიმებთან და ექთნებთან. იმისთვის რომ არ შეფერხდეს მაღალმთიან რეგიონებში მდებარე სოფლებში მცხოვრები მოქალაქეებისთვის პირველადი სამედიცინო მომსახურებების მიწოდება, შემსყიდველ ორგანიზაციას მიზანშეწონილად მიაჩნია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელდეს ღონისძიებისთვის აუცილებელი მომსახურების შესყიდვა.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

როგორც წარმოდგენილი მომართვიდან ირკვევა, შესყიდვის ობიექტია სოფლის ექიმის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვა.

ამასთან, წარმოდგენილი მომართვიდან ირკვევა, რომ სოფლის ექიმის პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული მომსახურების (საქონლის) შესყიდვა წარმოებს საქართველოს მთავრობის მიერ კონკრეტული წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შემდგომ, კერძოდ, „2021 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის N828 დადგენილებით. იმავდროულად, ღონისძიების შეზღუდულ ვადაში ჩატარების აუცილებლობა გამოწვეულია საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის N 415 დადგენილებაში "სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ", მუხლი N1 მე-4 პუნქტში ცვლილების შეტანით 2019 წლის 6 ივნისის N268 დადგენილებით, რომლის თანახმადაც, "სოფლის ექიმის" სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სოფლის ექიმისა და ექთნის/ფერშლის მიერ გაწეულ საქმიანობაზე ვრცელდება საშემოსავლო გადასახადით სპეციალური დაბეგვრის რეჟიმი. (ამ შემთხვევაში სოფლის ექიმებისა და ექთნებისთვის განკუთვნილი ანაზღაურება , როგორც მომსახურების ღირებულება არ დაიბეგრება საშემოსავლო გადასახადით). ამდენად, აუცილებლობას წარმოადგენს ახალი ხელშეკრულებების გაფორმება (2021 წლის ასიგნებათა ფარგლებში) სოფლის ექიმებთან და ექთნებთან. იმისთვის რომ არ შეფერხდეს მაღალმთიან რეგიონებში მდებარე სოფლებში მცხოვრები მოქალაქეებისთვის პირველადი სამედიცინო მომსახურებების მიწოდება, აღნიშნული შესყიდვის განხორციელების მიზნით, შესყიდვის ობიექტის შესასყიდად შესყიდვის ელექტრონული პროცედურების გამოყენება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად მიზანშეწონილი არ არის.

სააგენტო განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებული პროცედურების შეფერხების თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილია, აღნიშნული შესყიდვები განხორციელდეს მაქსიმალურად შეზღუდულ ვადებში. შესაბამისად, სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარებით შესყიდვის განხორციელების საჭიროება.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა. ასევე, შემსყიდველმა ორგანიზაციამ უზრუნველყოს რელევანტური მიმწოდებლის შერჩევა და ამ შერჩევასთან დაკავშირებული პროცედურების კანონიერება. დამატებით აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს შპს „რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრის“ SMP210000180 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით შესყიდვების დასადგენად მიმართოს საქართველოს მთავრობას.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თავმჯდომარე ლევან რაზმაძე